შინმოვლის პროგრამა

შემუშავებულია

ბაღდათის მუნიციპალიტეტისთვის



მუნიციპალური პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის მიერ“ (ISC) პროექტის „ინკლუზიური დიალოგი - ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელსაც “ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო” (LDA Georgia) ახორციელებს.

პროგრამის დასახელება	შინმოვლის პროგრამა	**პროგრამის მიზანი**	ქალაქ ბაღდათში მცხოვრები შინმოვლის საჭიროების მქონე პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა მათზე სამედიცინო ზრუნვის განხორციელების გზით.
განხორციელების არეალი	ქალაქი ბაღდათი[1]	**სრული ღირებულება**	20000 ლარი[2]
სამიზნე ჯგუფი/ები	ბაღდათში მცხოვრები/რეგისტრირებული ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირები	**ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა**	20000 ლარი
განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახური	**სხვა სახსრები**	არ არის რელევანტური[3]

პროგრამის ზოგადი აღწერა

შინმოვლის პროგრამა განკუთვნილია ქალაქ ბაღდათში მცხოვრები ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს და ასევე, შინმოვლის განმახორციელებელი ორგანიზაციის შეფასებით, დასტურდება მათი პროგრამაში ჩართვის რელევანტურობა. პროგრამის მიზანია ქალაქ ბაღდათში მცხოვრები შინმოვლის საჭიროების მქონე პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა მათზე სამედიცინო ზრუნვის განხორციელების გზით.

პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარებისათვის მიწოდებული ბინაზე მოვლის მომსახურება გულისხმობს: 1. კვალიფიციური მედდის მომსახურებას, ავადობის თანმხლები გართულებების (ნაწოლები, თრომბოზი, პლევმონია და ა.შ.) პრევენციის მიზნით; 2. პირადი ჰიგიენის დაცვის პროცედურებს; 3. მედიკამენტებითა და მოვლის ძირითადი ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფას.

*2020 წლისთვის, შინმოვლის პროგრამა ხორციელდება საპილოტედ.

პროგრამის განხორციელების წინაპირობა/ პრობლემის აღწერა

შინმოვლა სამედიცინო, სარეაბილიტაციო, ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურების კომბინაციაა, რომელიც ბინაზე მისვლით პაციენტს ეხმარება ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში[4]. 2019 წელს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის თემის საჭიროებების შეფასების შედეგად[5], გამოიკვეთა, რომ წლიდან-წლამდე აქტუალური ხდება ხანდაზმულთა (და არა მხოლოდ) შინ მოვლის საკითხები, თუმცა არ მოიძებნება ზუსტი მონაცემი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ადამიანი საჭიროებს თემში მსგავსი ტიპის მომსახურებას. შესაბამისად, არ არსებობს პროგრამა, რომელიც ამ საჭიროებებს უპასუხებდა. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ შინმოვლის სერვისი აქტუალურია ქრონიკული დაავადებების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ან ხანდაზმული პირებისთვის, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ ზრუნვას და დამოუკიდებლად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახორციელებენ საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ბენეფიციარებს, რომლებსაც აქვთ მუდმივი ან დროებით ზრუნვის/მოვლის საჭიროება უმეტესწილად არ მიუწვდებათ ხელი ღირსეულ ზრუნვაზე, მსგავსი

[1] პროგრამის განხორციელება პირველი ეტაპისთვის უნდა მოხდეს ერთ ლოკაციაზე, რადგან სხვა შემთხვევაში, იზრდება ტრანსპორტირების ხარჯები და ადმინისტრირების პროცედურები. იმ შემთხვევაში, თუ მერიას გაუჩნდება მსგავსი ხარჯის შესაძლებლობა, შეიძლება პროგრამა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებშიც.

[2] მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ბიუჯეტის დაანგარიშება მომსახურების გაწევის გამოცდილების მქონე მუნიციპალიტეტებთან და ორგანიზაციებთან კონსულტაციის საფუძველზე.

[3] მუნიციპალიტეტს შეუძლია პროგრამის იდეა განიხილოს ადგილობრივი მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან და დაინტერესების შემთხვევაში, მათი სოციალური პასუხიმგებლობის ფარგლებში (რაც გულისხმობს დაფინანსების გამოყოფას), უზრუნველყოს პროგრამის განხორციელება საპილოტე რეჟიმში.

[4] www.caritas.ge

[5] ბაღდათის მუნიციპალიტეტის თემის საჭიროებების შეფასება, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო, 2019

მუნიციპალური პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის მიერ“ (ISC) პროექტის „ინკლუზიური დიალოგი - ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელსაც “ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო” (LDA Georgia) ახორციელებს.

მომსახურების არარსებობის გამო. სწორედ ამიტომ, წინამდებარე პროგრამის შემუშავების მიზანია უპასუხოს შინმოვლის საჭიროების მქონე პირთა გამოწვევებს და შესთავაზოს მათ თემზე დაფუძნებული მომსახურება.

პროგრამის მიზნები და ამოცანები

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ქალაქ ბაღდათში რეგისტრირებულ და მცხოვრები შინმოვლის საჭიროების მქონე პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა მათზე სამედიცინო ზრუნვის განხორციელების გზით. ამ მიზნის მისაღწევად, პროგრამის სპეციფიურ მიზნებად/ამოცანებად განისაზღვრა:

- შინმოვლის საჭიროების მქონე პირის ბინაზე მოვლის საჭიროების შეფასება და შერჩეული კანდიდატებისათვის მედდის მომსახურების გაწევა ავადობის თანმხლები გართულებების პრევენციის მიზნით;
- შინმოვლის საჭიროების მქონე პირის პირადი ჰიგიენის დაცვის (დაბანა, თეთრეულის გამოცვლა, დახმარება ჩაცმასა და კვებაში) უზრუნველყოფა ;
- შინმოვლის საჭიროების მქონე პირის მედიკამენტებითა და ჰიგიენის ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფა.

*** საკვებით უზრუნველყოფა** - პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები, საჭიროების შემთხვევაში, ასევე მნიშვნელოვანია ჩაერთონ უფასო სასადილოს პროგრამაში და მათ მოხალისემ/ასისტენტმა ყოველდღიურად მიაწოდოს საკვები ბინაზე. ამ კომპონენტის განხორციელება უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტმა და არ წარმოადგენს მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებას. მოხალისეს დასჭირდება გადამზადება და ქცევის/ეთიკის წესების გაცნობა.

სამიზნე ჯგუფები და პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები

პროგრამის სამიზნე ჯგუფებად განისაზღვრა: ქალაქ ბაღდათში მცხოვრები ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- მარტოხელა ან მზრუნველობა მოკლებული[6] ხანდაზმული, რომელიც არის საწოლს ან სახლს მიჯაჭვული და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000[7]-ს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სრულწლოვანი პირი, რომელიც არის საწოლს ან სახლს მიჯაჭვული და მისი ოჯახის სარეიტინო ქულა არ აღემატება 100000-ს;
- ქრონიკული ან დროებითი ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირი, რომელიც არის საწოლს ან სახლს მიჯაჭვული და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს.

აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი კრიტერიუმებს განისაზღვრება წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგების საფუძველზე სოციალური დახმარების გამცემი კომისიის მიერ.

ბენეფიციარების ჯამური რაოდენობა: 15 ბენეფიციარი[8].

[6] ყავს ოჯახის წევრი/ები, რომლებიც ან არ ვერ ახორციელებენ მზრუნველობას. აღნიშნულის თაობაზე, მნიშვნელოვანი იქნება ტერიტორიული ერთეულის მერის წარმომადგენლის შეფასება-დასკვნა.

[7] იმ შემთხვევაში, თუკი მონაწილეთა რაოდენობა არ იქნება საკმარისი შესაძლებელია ქულობრივი ზღვარის აწევა, 3-ვე შემთხვევაში.

[8] ბენეფიციარების ჯამური რაოდენობის ზრდა ავტომატურად ზრდის მთლიან ბიუჯეტს, თუმცა ამცირებს ერთ ბენეფიციარზე გაწეულ დანახარჯს.

პროგრამის განხორციელების პროცედურები (წესი)
პროგრამაში ჩართვის მიზნით, პოტენციურმა ბენეფიციარმა, ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურს უნდა მიმართოს წერილობითი განაცხადით, სადაც მითითებული და დასაბუთებული იქნება ბინაზე მოვლის საჭიროებები. განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები: • მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №100); • ამონაწერი სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ბაზიდან; • პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა, პასპორტი) ასლი. განაცხადის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, ინფორმაცია მიეწოდება ბინაზე მოვლის მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს ბინაზე პაციენტის მდგომარეობის შეფასებას. შეფასების საფუძველზე მომზადებული ანგარიში, სხვა დოკუმენტებთან ერთად, განიხილება სოციალური დახმარების გამცემი კომისიის მიერ 7 სამუშაო დღის ვადაში. კომისიის მიერ, პროგრამაში ბენეფიციარის ჩართვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ განისაზღვრება ბენეფიციარებისთვის მიწოდებული მომსახურების შინაარსი, ხანგრძლივობა და ინტენსივობა. ბენეფიციარისთვის მომსახურების მიწოდების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს: • ბენეფიციარის გარდაცვალება; • ბენეფიციარის მომსახურების მიწოდების პროცესში გამოჯანმრთელება; • ბენეფიციარის სხვა ტერიტორიულ ერთეულში საცხოვრებლად ან სხვა მიზნით გადასვლა; • ბენეფიციარის სტაციონარულ მკურნალობაზე გადასვლა (ჰოსპიტალიზაცია)[9]; • ბენეფიციარის ანდა მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის უარი მომსახურების მიღებაზე (წერილობითი განაცხადი). ***მომსახურებიდან ბენეფიციარის გასვლის შემთხვევაში, ხდება მომლოდინე ბენეფიციარით მისი ჩანაცვლება.**

პროგრამის განხორციელების ვადები		
პროგრამა ხორციელდება საპილოტე რეჟიმში 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემდეგი თანმიმდევრული ეტაპების დაცვით:		
აქტივობა	**განხორციელებაზე პასუხისმგებელი რგოლი**	**განხორციელების პერიოდი**
1. პროგრამის მოსამზადებელი სამუშაოები		
1.1. ღია ტენდერის გამოცხადება შინმოვლის პროგრამაზე	მერიის სოციალური და იურიდიული სამსახური	იანვარი-თებერვალი
1.2. ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის შერჩევა / ხელშეკრულების გაფორმება	მერიის სოციალური და იურიდიული სამსახური	თებერვალი
1.3. ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმისა და ანგარიშგების ფორმის შეთანხმება მხარეებს შორის	მერიის სოციალური სამსახური / კონტრაქტორი	თებერვალი
2. პროგრამის განხორციელება		
2.1. ბენეფიციართა შეფასების განცხორციელება და ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის მომზადება	მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაცია	მარტი
2.2. ბენეფიციარებისათვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის შესაბამისი მომსახურების გაწევა	მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაცია	მარტი-დეკემბერი
3. ანგარიშგება, მონიტორინგი და შეფასება		
3.1. შუალედური მონიტორინგის განხხორციელება	მერიის სოციალური სამსახური	ივლისი
3.2. საბოლოო ანგარიშის მომზადება და მიწოდება მერიისთვის	მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაცია	დეკემბერი
3.3. საბოლოო მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება	მერიის სოციალური სამსახური	დეკემბერი

[9] ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია დროებით, ჰოსპიტალიზაციის პერიოდში, მოხდეს მომსახურების მიწოდების შეწყვეტა და ბინაზე დაბრუნების შემდგომ კვლავაც განახლდეს.

პროგრამის პარტნიორიები

პროგრამის განხორციელებისას მუნიციპალიტეტისათვის პარტნიორია ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ მოახდენს შერჩეული ბენეფიციარებისათვის შინმოვლის მომსახურების მიწოდებას. ორგანიზაციის შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი გამოცდილება და კვალიფიკაცია ბინაზე მოვლის მომსახურების მიწოდების მიმართულებით. საქართველოში შინმოვლის მომსახურების მიწოდების გამოცდილების მქონე ორგანიზიაციები არიან: საქართველოს კარიტასი, შინმოვლის კოალიცია და წითელი ჯვარი. გარდა ჩამოთვლილი ორგანიზაციებისა, შესაძლებელია მომსახურების მიწოდება უზრუნველყოს რომელიმე ადგილობრივმა ორგანიზაციამ, რომელიც მუშაობს ხანდაზმულების, ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების ანდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე და აქვს გამოცდილება ამ სამიზნე ჯგუფებისთვის სამედიცინო ან სოციალური სახის მომსახურების მიწოდების.

*ადგილობრივმა თვითმმართველობამ პროგრამის განხორციელებამდე უნდა მოახდინოს დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრა და კონსულტაციების წარმოება, რათა სატენდერო განაცხადის მომზადებისას მაქსიმალურად მოხდეს პროგრამისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინება.

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

ადამიანური რესურსები: პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია:

<u>პროგრამის განხორციელებაზე პასუხიმგებელი პირი/ები -</u> ბაღდათის მერიის სოციალური სამსახურის სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია განცხადების მიღებასა და ბენეფიციარების შერჩევის პროცესის კოორდინაციაზე.

<u>პროგრამის მონიტორინგი/შეფასებაზე პასუხიმგებელი პირი/ები[10]</u> - ბაღდათის მერიის სოციალური სამსახურის სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია კონტრაქტორი ორგანიზაციიდან შეფასებებისა და სამუშაო შესრულების ანგარიშების მოგროვებასა და მომსახურების მიწოდების პროცესის მონიტორინგზე. ამასთან, აუცილებელია პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში ითანამშრომლოს მხარეებთან პრობლემის დროულად გადაწყვეტის მიზნით.

<u>პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია</u>/საკონტაქტო პირი - ტენდერში გამარჯვებული, ხელშეკრულებით დაქირავებული ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც უზრუნველყოფს:

- მედდისა და მისი ასისტენტის დაქირავებას, გადამზადებასა და მედდის მომსახურების მიწოდების კოორდინაციას;
- გაუწევს ზედამხედველობას მედდის საქმიანობას, უზრუნველყოს მედიკამენტებისა და ჰიგიენის ნივთების დახარისხება/განაწილებას;
- თანამშრომლობს კონტრაქტორ უწყებასთან პრობლემების ადრეული იდენტიფიცირების და მათი პრევენციის მიზნით.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები: აღსანიშნავია, რომ გაცემული დაფინანსება, როგორც მინიმუმ, სრულად უნდა ფარავდეს შემდეგ ხარჯებს:

- კოორდინატორისა და მედდის მომსახურების საფასური;
- მედიკამენტებისა და პირველადი მოვლის საშუალებების (თეთრეულის, ჰიგიენის ნივთები, მედიკამენტები) შესყიდვის საფასური.

პროგრამის მონიტორინგი და შეფასება

[10] სასურველია მონიტორინგი განახორციელოს იმ თანამშრომელმა, რომელსაც თავად არ აქვს პროგრამის მიწოდებაზე პასუხისმგებლობა

პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახური. პროგრამის წარმატება განისაზღვრება შემდეგი ინდიკატორებით:

- პროგრამაში ჩართვის მსურველთა ჯამური რაოდენობა;
- მომსახურების მიმღებთა ჯამური რაოდენობა;
- მომსახურების მიმღებთა ჰოსპიტალიზაციის შემთხევათა რაოდენობა (საშუალოდ 60%-ით შემცირდა);
- ავადობის თანხმლები გართულებები პრევენცია შესაძლებელი გახდა მომსახურების მიმღებ პირთა 70%-ში;
- მომსახურების მიმღებთა და მათი ოჯახის წევრთა 80%-ში გაუმჯობესებულია ცხოვრების ხარისხი (ხემისაწვდომობა სამედიცინო ზრუნვაზე და პირველადი მოვლის საშუალებებზე);
- მომსახურების მიმღებთა და ოჯახის წევრთა 80% მიწოდებულ მომსახურებას დადებითად აფასებს.

მონიტორინგი განხორციელდება მერიის სოციალური სამსახურის მიერ ორჯერ, პროგრამის განხორციელების შუა და საბოლოო ეტაპზე. საბოლოო მონიტორინგის დროს აუცილებელია გამოყენებულ იქნას კმაყოფილების კითხვარი მომსახურების მიმღებისა ანდა მათი ოჯახის წევრის მიერ პროგრამის შეფასების მიზნით.

რისკები და მასთან გამკლავების გზები

შინმოვლის პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიკვეთოს გარკვეული რისკები, რომლებზე საპასუხო რეაგირების შემთხვევაშიც პროგრამის განხორციელებას საფრთხე არ დაემუქრება.

- **ბენეფიციართა მომართვიანობა:** გამომდინარე იქიდან, რომ რაიონში არ არის დაზუსტებული სტატისტიკური ინფორმაცია შინმოვლის საჭიროების მქონე პირების შესახებ, პირველადი რაოდენობრივი გათვლები შესაძლოა არ დაემთხვეს საბოლოო ბენეფიციართა რაოდენობას. პილოტური წლის განმავლობაში შესაძლებელია, როგორც მომართვიანობის დაბალი, ისე მაღალი რისკის წინაშე დადგეს პროგრამა. მსგავსი რისკების თავიდან აცილების მიზნით, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია მუშაობა მოსახლეობიდან ინფორმაციის შეგროვებაზე და მეორე მხრივ, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი კრიტერიუმები, რაც პრიორიტეტული სამიზნე ჯგუფების გამოყოფას შეუწყობს ხელს.

- **მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის შერჩევა:** შესაძლებელია, ორგანიზაციებმა არ გამოხატონ ინტერესი ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებით. აღნიშნულის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია წინასწარ შედგეს დაინტერესებულ მხარეებთან საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები, რაც ადეკვატური ბიუჯეტის განსაზღვრისა და მოთხოვნების სწორად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

- **შინმოვლის გაფართოება:** პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიკვეთოს დამატებითი საჭიროებები, რასაც პროგრამა თავისი შინაარსით არ ფარავს. მაგალითად, კვების კომპონენტს. უფასო სასადილოს პროგრამის ფარგლებში შესაძლოა მოხდეს იგივე ბენეფიციართა კვოტის გათვალისწინება და მოხალისის მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნას საკვების ბინაზე მიწოდება, ყოველდღიურად. ამ კომპონენტზე, პასუხისმგებლობა უნდა დაიტოვოს მერიამ და იგი ვერ იქნება დელეგირებული სერვისის მიმწოდებელზე. მერიის სოციალურ სამსახურს სერვისის მომწოდებელ ორგანიზაციასთან კომუნიკაცია და პროცესზე მონიტორინგი დაეხმარება ყველა შესაძლო გამოწვევის იდენტიფიცირებაში და პროგრამის შემდგომ მოდიფიცირებაში.

მუნიციპალური პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია ორგანიზაცია „ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის მიერ“ (ISC) პროექტის „ინკლუზიური დიალოგი - ეფექტური სოციალური პოლიტიკისათვის“ ფარგლებში, რომელსაც “ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო” (LDA Georgia) ახორციელებს.